

საქართველოს  
დაპროზიხებინ დაზღვევის საბუნბო



DEPOSIT INSURANCE AGENCY  
OF GEORGIA

2018 წლის მეორე კვარტლის ანგარიში

ივლისი, 2018 წელი

**სარჩევი**

მიმოხილვა ..... 3

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები ..... 3

პორტფელის მართვა ..... 6

კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება..... 6

პირველი სადაზღვევო შემთხვევის მოსამზადებელი სამუშაოები ..... 9

საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანია ..... 10

მართვის ელექტრონული სისტემა და ანაზღაურების ინსტრუქცია ..... 10

დონორი ორგანიზაციები ..... 12

## მიმოხილვა

2018 წლის მეორე კვარტალში სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საქმიანობა, მიმდინარე თემებთან ერთად, რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებაზე იყო კონცენტრირებული.

სააგენტომ პირველად განახორციელა „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და კომერციული ბანკების მიერ სააგენტოსთვის წარმოდგენილი ინფორმაცია - დაზღვეული დეპოზიტების შესახებ - გადაამოწმა როგორც დისტანციურად, ისე ადგილზე მისვლით. სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად პროცესში ჩართული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკებისა და ინფორმაციის დამუშავების განყოფილების წარმომადგენელი.

ჩატარდა ინტენსიური სამუშაოები მოსალოდნელ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით. მომზადდა ყველა ორგანიზაციული და სამართლებრივი საკითხი.

დაიწყო მუშაობა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამასა და ანაზღაურების ინსტრუქციაზე. შემუშავდა კონცეფციის დოკუმენტი, რომელშიც გაიწერა ანაზღაურების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, მზადდება 2 წუთიანი ანიმაციური ვიდეო-რგოლი, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე აქტიურად გაშუქდება როგორც სააგენტოს ოფიციალური ვებ და ფეისბუქ გვერდის, ისე სხვადასხვა საინფორმაციო პორტალების საშუალებით. ასევე მომზადდება 30 წამიანი სატელევიზიო ფორმატის ვიდეორგოლი, რომელიც განთავსდება რეკლამის სახით.

დაიწყო გერმანიის KFW განვითარების ბანკის ტექნიკური დახმარების პროგრამა. პროგრამის ფარგლებში სააგენტოს სამუშაო ვიზიტით ორჯერ ეწვია მისიის ექსპერტი.

## კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

სააგენტოში გრძელდება კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება.

2018 წლის აპრილის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 20 007 853 575 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 10 588 009 713 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 1 525 960 342 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 1 220 375 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2018 წლის მაისის შედეგებს, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 20 134 728 162 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 10 696 281 486 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 533 625 065 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 227 168 ლარით განისაზღვრა.

მიმდინარე წლის 30 ივნისის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 20 419 077 133 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 10 842 231 644 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 567 268 264 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 251 775 ლარით განისაზღვრა.

2018 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 1.16%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა მიმდინარე წლის მარტში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 2.33%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირის დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 0.76%-ით, ხოლო მათ შორის დაზღვეული დეპოზიტების ოდენობა 1.07%-ით იზრდებოდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდის მაქსიმალური ტემპი აპრილის თვეში (2.72%), დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა კი მიმდინარე კვარტლის ბოლოს დაფიქსირდა და 2.19% შეადგინა. #1 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

	იან.18	თებ.18	მარ.18	აპრ.18	მაი.18	ივნ.18	სამ
<b>დეპოზიტების მთლიანი მოცულობა</b>	19,28	19,30	19,75	20,01	20,13	20,42	
თვიური ცვლილება, %	-	0,10	2,33	1,32	0,60	1,44	1,16
<b>ფიზიკური პირის დეპოზიტები</b>	10,45	10,45	10,31	10,59	10,70	10,84	
თვიური ცვლილება, %	-	0,04	-1,37	2,72	1,02	1,36	0,76
<b>დაზღვეული დეპოზიტები</b>	1,49	1,51	1,52	1,53	1,53	1,57	
თვიური ცვლილება, %	-	1,82	0,25	0,57	0,50	2,19	1,07

ცხრილი 1. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

2018 წლის პირველი და მეორე კვარტლის მონაცემების შედარებიდან იკვეთება, რომ მეორე კვარტლის ბოლოს, პირველ კვარტალთან შედარებით, დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 3.39%-ით, ფიზიკური პირის დეპოზიტები - 5.19%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა - 3.29%-ით არის გაზრდილი.

	მარ.18	ივნ.18
<b>დეპოზიტების მთლიანი მოცულობა</b>	19,75	20,42
კვარტალური ცვლილება, %	-	3,39
<b>ფიზიკური პირის დეპოზიტები</b>	10,31	10,84
კვარტალური ცვლილება, %	-	5,19
<b>დაზღვეული დეპოზიტები</b>	1,52	1,57
კვარტალური ცვლილება, %	-	3,29

ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლნ ლარი

2018 წლის იანვარი-ივნისის თვეებში რეგულარული სადაზღვევო შენატანები თვიურად საშუალოდ 1.04%-ით იზრდებოდა (ცხრილი #3). მაქსიმალური ზრდა (2.01%) მიმდინარე წლის მეორე კვარტლის ბოლოს დაფიქსირდა და ივნისის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 1 251 775 ლარი შეადგინა. მეორე კვარტალში განხორციელებული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა 2.49%-ით აღემატება პირველი კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს (ცხრილი #4).

	იან.18	თებ.18	მარ.18	აპრ.18	მაი.18	ივნ.18	საშ
<b>რეგულარული სადაზღვევო შენატანი</b>	1,19	1,21	1,21	1,22	1,23	1,25	
თვიური ცვლილება, %	-	1,55	0,55	0,53	0,56	2,01	1,04

ცხრილი 3. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	მარ.18	ივნ.18
<b>რეგულარული სადაზღვევო შენატანი</b>	3,61	3,70
კვარტალური ცვლილება, %	-	2,49

ცხრილი 4. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

2018 წლის ივნისის მონაცემების მიხედვით, დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 96.5% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 14.45%. დაზღვეული დეპოზიტების 61% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 39% უცხოურ ვალუტაში.

### პორტფელის მართვა

2018 წლის მეორე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 3 699 318 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2018 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად სააგენტომ სამჯერ მიიღო მონაწილეობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონში, აქედან ორი განაცხადი დაკმაყოფილდა.

2018 წლის 25 აპრილს ჩატარებულ აუქციონზე განხორციელდა 1 233 878.40 ლარის მოცულობის ინვესტიცია 1 190 000 (ნომინალური) ღირებულების 7,700%-იანი შემოსავლიანობის 5 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებში. კუპონის განაკვეთი 8,125%-ს შეადგენს, ხოლო დაფარვის თარიღი 2023 წლის 25 იანვარია.

2018 წლის 27 ივნისს სააგენტომ შეისყიდა 2 245 000 ნომინალური ღირებულების 7,720% შემოსავლიანობის 5 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რისთვისაც განახორციელა 2 356 868.56 ლარის მოცულობის ინვესტიცია. კუპონის განაკვეთი 8,125%-ს შეადგენს, ხოლო დაფარვის თარიღი 2023 წლის 25 იანვარია.

### კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება

2018 წლის მეორე კვარტალში სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტომ პირველად განახორციელა ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ ბანკებისგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმება, როგორც დისტანციურად, ისე ადგილზე მისვლით.

შემოწმების მიზანს წარმოადგენდა „კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების და რეგულარული სადაზღვევო შენატანების გადახდის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად ბანკების მიერ სააგენტოსთვის მოწოდებული ყოველთვიური ინფორმაციის შედგენის პროგრამული უზრუნველყოფის და ბიზნეს-პროცესის გამართულობის გადამოწმება.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ შემუშავდა „კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ ინფორმაციის გადამოწმების წესი“. დოკუმენტში დეტალურად განისაზღვრა „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების პროცედურები.

პროცესის პირველ ეტაპზე მომზადდა და კომერციულ ბანკებს დაეგზავნათ 9 კითხვისგან შედგენილი კითხვარი, რომლითაც მოხდა ბანკების მიერ სააგენტოსთვის წარმოდგენილი ანგარიშგების შედგენის ბიზნეს-პროცესის გამართულობის შეფასება თეორიულ დონეზე. გამოიკვეთა გარკვეული უზუსტობებიც, რომელთან დაკავშირებით სააგენტოსა და კომერციულ ბანკებს შორის შედგა დამატებითი კომუნიკაცია.

შემდგომ ეტაპზე, კერძოდ 11 ივნისიდან 11 ივლისის ჩათვლით, სააგენტომ ინფორმაციის ადგილზე გადამოწმების მიზნით, განახორციელა 15 ვიზიტი საქართველოში მოქმედ ყველა კომერციულ ბანკში. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო“, რომელიც ახლო მომავალში გეგმავს ბაზრიდან გასვლას. სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად პროცესში ჩართული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკებისა და ინფორმაციის დამუშავების განყოფილების წარმომადგენელი.

ადგილზე შემოწმების პროცესში ყურადღება გამახვილდა დამატებითი განხილვის საჭიროების მქონე ყველა ისეთი საკითხზე, რომელიც გამოვლინდა როგორც სისტემის მუშაობის მთლიან პერიოდში, ისე ზემოაღნიშნულ კითხვარზე გაცემული პასუხების შეჯამებისას.

გამოიკვეთა ბანკების მხრიდან ანგარიშების ფორმების არაერთგვაროვანი მეთოდოლოგიით შევსების ან ინსტრუქციის არასწორი გაგების რამდენიმე შემთხვევა. ასე მაგალითად, კომერციული ბანკების ნაწილი სადაზღვევო პრემიის გაანგარიშებისას ითვლის ანგარიშგების დღისთვის დარიცხულ (არარეალიზებულ) პროცენტსაც, ასევე არაერთგვაროვანი მიდგომაა უნიკალური დეპოზიტორების დათვლის, დაბლოკილი ანგარიშების მითითების, მონაცემების ანგარიშგების სხვა ფორმებთან შედარების და სხვა საკითხებთან მიმართებით.

სააგენტოს მიერ ადგილზევე გაკეთდა რეკომენდაციული ხასიათის მითითებები. ასევე შემუშავდა ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივი შენიშვნების ჩამონათვალი. აღნიშნულის შედეგად, ბანკების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგება იდენტური ფორმით იქნება შევსებული.

გაცემული რეკომენდაციები

1. პროცესის სრული ავტომატიზაცია და ე.წ. ერთი ღილაკის პრინციპით მუშაობა, რაც უზრუნველყოფს ანგარიშგების გამზადებული ფორმებით გენერირებას მონაცემთა ბაზიდან, სადაც მექანიკური ჩარევა იქნება მინიმუმადე დაყვანილი. ეს თავის მხრივ ასევე მინიმუმამდე ამცირებს ადამიანური ფაქტორით გამომდინარე შეცდომების რისკს;
2. სკრიპტის დონეზე, ასევე ექსელის ფორმატში უნდა იდოს ანგარიშგების სამივე ფორმის შესაბამისი ველები ერთმანეთთან შედარების ფორმულები. ასევე მიღებული მონაცემები უნდა შედარდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშგების მონაცემებს;
3. დაზღვეული დეპოზიტების და ყოველთვიური რეგულარული შენატანის დაანგარიშებისას არ უნდა იქნას გათვალისწინებული დარიცხული (არარეალიზებული) პროცენტი;
4. ფორმა #1-ის C სვეტის შესაბამის ველებში გამოჩნდეს უნიკალური დეპოზიტორების ოდენობა;
5. იურიდიული პირების დეპოზიტებში უნდა აღირიცხოს ასევე ბანკთაშორისი დეპოზიტები (დაზღვევის იურიდიულ პირებზე გავრცელების შემდეგ, აღნიშნული ანგარიშები მოხვდება გამონაკლისში, თუმცა აღრიცხული უნდა იყოს);
6. ნაწილობრივ დაჯავშნილი დეპოზიტები ფორმა #1-ის B სვეტში უნდა გამოჩნდეს, როგორც 1.3.6, ისე 1.4.1 ველებში. შესაბამისად, მივიღებთ სხვაობას 1.4 და 1.4.1 ველების მაჩვენებლებს შორის, რომელიც იქნება ნაწილობრივ დაჯავშნილი დეპოზიტების რაოდენობის ტოლი (თუკი ბანკს აქვს ასეთი დეპოზიტები);
7. ბანკმა უნდა უზრუნველყოს ინდ. მეწარმეების ზუსტი აღრიცხვა ფიზიკურ პირებში;
8. ანგარიშგების ფორმების ყველა ველი, რომლის შესაბამისი მონაცემები ბანკს აქვს, უნდა იყოს სრულად შევსებული.

აღსანიშნავია, რომ გადამოწმების პროცესში სააგენტოს მიერ ბანკებს ეცნობათ დაგეგმილი ცვლილებების შესახებ, რაც დეპოზიტების დაზღვევის სისტემისთვის სპეციალური ელექტრონული პროგრამის (მართვის საინფორმაციო სისტემა) შექმნას უკავშირდება.

შეჯამების სახით, უნდა ითქვას, რომ ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსთვის წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ფორმების შევსების პროცესი ძირითადად გამართულია, უმეტესწილად ავტომატიზებულია, შექმნილია საგანგებო სკრიპტები, ხდება გადამოწმება ანგარიშგების სხვა მონაცემებთან, დაცულია 4 თვალის პრინციპი. გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, მიიღწევა ფორმების სტანდარტიზაცია და შევსების მეთოდოლოგიის სრული შესაბამისობა.



## პირველი სადაზღვევო შემთხვევისთვის მოსამზადებელი სამუშაოები

„აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკის“ („დედა ბანკის“) აქციონერთა მიმდინარე წლის მარტში მიღებული გადაწყვეტილებით, სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო“ ტოვებს საქართველოს ბაზარს. არსებული მონაცემებით, ბანკს აქვს ვალდებულებების 100%-იანი გასტუმრების შესაძლებლობა; მიუხედავად ამისა, კანონის შესაბამისად, ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე დგება სადაზღვევო შემთხვევა.

ბანკის მიერ ბაზრის დატოვების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, სააგენტო გადავიდა მუშაობის ინტენსიურ რეჟიმზე სადაზღვევო შემთხვევისთვის მოსამზადებლად. რამდენადაც ანაზღაურების პროცედურის დეტალურ ინსტრუქციასა და შესაბამის ელექტრონულ სისტემაზე მუშაობა ჯერ ისევ მიმდინარე პროცესია, აღნიშნული შემთხვევისთვის შემუშავდა საგანგებო გეგმა და პროცედურები.

გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები უშუალოდ ბანკის ხელმძღვანელობასთან, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. შედეგად, ჩამოყალიბდა შემთხვევის დადგომისას განსახორციელებელი სამუშაოების ზუსტი, დროში განსაზღვრული გეგმა.

უპირველეს ყოვლისა, პროცესი გაიმართა სამართლებრივად - გაჩნდა შესაბამისი ჩანაწერები კომერციული ბანკის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 16 მარტის ბრძანება №46/04-ში. ასევე, სააგენტოსა და ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლობით შემუშავდა საგანგებო ფორმა, რომლითაც ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული ლიკვიდატორი, კანონით განსაზღვრულ ვადაში (სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 5 კალენდარულ დღეში) სააგენტოს მიაწვდის მონაცემებს ბანკში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ. აღნიშნული ფორმა მოიცავს ცნობებს დეპოზიტორის ვინაობის, საიდენტიფიკაციო მონაცემების, მის სახელზე არსებული დეპოზიტების სრული ჩამონათვალის (ნომინალური მაჩვენებლები და დარიცხული პროცენტი) შესახებ.

შესაძლო სადაზღვევო შემთხვევისთვის მოსამზადებლად სააგენტომ შეარჩია ანაზღაურების განმახორციელებელი აგენტი ბანკი. ამ მიზნით, სს „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, აღნიშნული კომერციული ბანკი, უზრუნველყოფს სააგენტოს სახელით დაზღვეული დეპოზიტორების ანაზღაურებას. ხელშეკრულების თანახმად, დაზღვეული დეპოზიტორები კუთვნილი თანხის მიღებას ქვეყნის მასშტაბით სს „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერი ფილიალიდან შეძლებენ.

## საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანია

სააგენტოში გრძელდება ინტენსიური მუშაობა საზოგადოების ინფორმირების მიმართულებით. სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მუდმივად ახლდება ინფორმაცია როგორც დაზღვეული დეპოზიტების, ისე კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული რეგულარული შენატანებისა და სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის შესახებ. სტატისტიკური სიახლეები, ასევე, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საინფორმაციო ხასიათის პოსტები, ვრცელდება სააგენტოს ფეისბუქ გვერდის საშუალებითაც.

მზადდება ორი ანიმაციური ვიდეო-რგოლი, რომელშიც კონკრეტულად არის ახსნილი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მნიშვნელობა, დაზღვევის და ანაზღაურების პროცედურები და თემასთან დაკავშირებული ყველა ის საკითხი, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირებისთვის. აქტიური სარეკლამო კამპანია დაგეგმილია მიმდინარე წლის შემოდგომისთვის. ვიდეო-რგოლი გავრცელდება როგორც ფეისბუქის გვერდის საშუალებით, ისე საინფორმაციო პორტალებზე სარეკლამო ბანერების სახით. ორწუთიანი ვიდეოს ბაზაზე იქმნება 30 წამიანი სატელევიზიო ფორმატის ვიდეო-რგოლი, რომელიც ასევე შემოდგომიდან განთავსდება რეკლამის სახით.

## მართვის ელექტრონული სისტემა და ანაზღაურების ინსტრუქცია

სააგენტოში დაიწყო მუშაობა მართვის ელექტრონული სისტემის - სპეციალური ელექტრონული პროგრამის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს სააგენტოსა და კომერციულ ბანკებს შორის ინფორმაციის გაცვლის ერთიან სისტემაში მოქცევას.

ამ მიზნით, სააგენტომ ხელშეკრულება გააფორმა საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტთან, რომელიც მუშაობს შესაბამის ტექნიკურ დავალებაზე, რაც გულისხმობს პროგრამის დეტალურ აღწერას. დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდება სატენდერო წინადადება და გამოცხადდება ტენდერი.

მართვის ელექტრონული სისტემა 2 ძირითადი ფუნქციონალით იქნება დატვირთული: ყოველთვიური ანგარიშგების და სადაზღვევო შემთხვევის.

ანგარიშგების მოდულში, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მონაწილე ბანკები ატვირთავენ ყოველთვიურ ანგარიშგებას, ხოლო პროგრამა უზრუნველყოფს მონაცემთა აგრეგირებას, დახარისხებას, დამუშავებას და ანალიზს.

სადაზღვევო შემთხვევის მოდულისთვის შემუშავდა სპეციალური ფორმა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ბანკში დაზღვეული დეპოზიტების შესახებ მონაცემები ჩაშლილად, კლიენტის, მისი საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემების და ასევე დადებითი ბალანსის მქონე ანგარიშების შესახებ ცალ-ცალკე. აღნიშნული ფორმა, საქართველოს ეროვნულ ბანკთან ოფიციალური შეთანხმების შემდეგ, გაეგზავნებათ კომერციულ ბანკებს შესაბამისი სკრიპტის დასამუშავებლად. ფორმა სრულად შეივსება მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. ამ შემთხვევაშიც, პროგრამა დაამუშავებს მონაცემებს და დაიანგარიშებს თითოეული დეპოზიტორისთვის ასანაზღაურებელი თანხის მოცულობას. ასევე პროგრამულად გამოითვლება, თუ როგორ მოხდება სააგენტოს მიერ ანაზღაურებული თანხის გამოქვითვა კლიენტის მთლიანი ანგარიშებიდან.

სადაზღვევო შემთხვევის მოდულში იქნება ასევე „აგენტი ბანკის“ ფუნქცია, რომლის საშუალებითაც სააგენტო ანაზღაურების უზრუნველყოფისთვის შერჩეულ ბანკს მიაწვდის მონაცემთა რეესტრს და მიმდინარე რეჟიმში დაინახავს ანაზღაურების პროცესის შედეგებს.

მართვის ელექტრონული სისტემა, კერძოდ, მისი სადაზღვევო შემთხვევის ნაწილი, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ყოველწლიურად გაივლის სიმულაციურ ტესტს, რისთვისაც შერჩეული იქნება შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ერთი კომერციული ბანკი. სიმულაციური ტესტისთვის კომერციული ბანკი შესაბამისი ფორმის მონაცემებს შეავსებს კოდირებულად, სადაც კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები იქნება დახურული და პროგრამას წვდომა მხოლოდ ანგარიშზე განთავსებული თანხების ოდენობებზე ექნება.

მართვის ელექტრონული სისტემის პარალელურად სააგენტო იწყებს მუშაობას კანონით გათვალისწინებული „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გაცემის და ამ მიზნით კომერციული ბანკის შერჩევის“ ინსტრუქციის შექმნაზე. უკვე შემუშავებულია ანაზღაურების კონცეფცია, რომელშიც ზოგადად არის ჩამოყალიბებული სადაზღვევო შემთხვევის დროს სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. ანაზღაურების ინსტრუქციაში კონკრეტულად იქნება გაწერილი სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან განსახორციელებელი ყველა ქმედება, ასევე მართვის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების დეტალური აღწერა და აგენტი ბანკის შერჩევისა და მასთან კომუნიკაციის პირობები.

## დონორი ორგანიზაციები

გერმანიის KFW განვითარების ბანკის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში სააგენტოს ორჯერ ეწვია მისიის ექსპერტი. პირველი ვიზიტი ფაქტობრივი მონაცემების შეგროვებას დაეთმო და მის განმავლობაში ექსპერტმა შეხვედრები გამართა როგორც ბანკების ასოციაციის, ისე კონკრეტული კომერციული ბანკის, საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. ექსპერტს ყოველდღიური სამუშაო კომუნიკაცია ჰქონდა სააგენტოს თანამშრომლებთან. მეორე ვიზიტზე უკვე წარმოდგენილი იყო საქართველოში მოქმედი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ევროდირექტივის მოთხოვნებთან შედარების ანალიზის შუალედური ანგარიში. სააგენტომ წარმოდგენილ პრეზენტაციაზე საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები მოამზადა. ზაფხულის ბოლომდე ექსპერტმა უნდა დაასრულოს მუშაობა საბოლოო ანგარიშზე. ამავდროულად მისიის მეორე ექსპერტი საინვესტიციო პოლიტიკასთან დაკავშირებულ წინადადებებს წარმოადგენს. სამუშაო შეხვედრები გაიმართა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან.